პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

10 ნოემბერი, სამშაბათი, 1987 წ.
№ 216 (9697) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„ვერდერი“ ემზადება

დასავლეთ გერმანიის საგენტო დპა-ს კორესპონდენტი ბრემენიდან იუწყება, რომ აქაური საფეხბურთო კლუბი „ვერდერი“ საგულდაგულოდ ემზადება თბილისის „დინამოსთან“ უეფა-ს თასის მერვედფინალურ შეხვედრათა ჩასატარებლად. ცნობაში აღნიშნულია, რომ კლუბის მწვრთნელს ოტო რეჰაგელს განზრახული აქვს დაესწროს თბილისის „დინამოს“ საკავშირო ჩემპიონატის მატჩს მოსკოვის „სპარტაკთან“, მასთან ერთად ჩამოვა „ვერდერის“ მენეჯერი ვილი ლემკეც, რომელიც მოსკოვიდან საქართველოს დედაქალაქს გაემგზავრება საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად.

„ვერდერის“ პირველი მატჩი თბილისის დინამოელებთან, როგორც ცნობილია, 25 ნოემბერს შედგება ბრემენის „ვეზერშტადიონის“ მინდორზე, ხოლო საპასუხო — 9 დეკემბერს თბილისში.

ნარმოგიდგენთ კანდიდატებს

წლის საუკეთესო სპორტსმენი, გენდი, მწვრთნელი

ნიჩბოსნობა ძნელია

„უოჩაღ, ნიჩბოსნებმაც გვახახელეს!“ — იფიქრეს, ალბათ, ქართველმა გულშემატკივრებმა, როცა სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებზე, სანიჩბოსნო რეგატაში ჩვენი აკადემიური ეკიპაჟის, მესაჭიანი ოთხიანის წარმატების შესახებ შეიტყვეს.

რა კვიმატი რამაა ეს „ც“ ნაწილაკი. მოწონების ნიშნად მხარზე ხელი რომ გიტყაპუნონ და „უოჩაღ, აფერუმ შენს ვაკაკობასო“, შეგაქონ, ამ ერთი ბგერის გაგონებამ შეიძლება გუნება გაგიფუჭოთ. მართლაც რამდენს იტევს ეს ერთი ასო, რამდენ რამეს გვეუბნება ამ მარტივ წინადადებაშიც: „ნიჩბოსნებმაც გვახახელეს“. დიახ, ქართველი გულშემატკივრები სხვა სახეობების წარმოთა სიაში ჯერჯ კუნძულ ადგილს დაიკავებს, მაგრამ... ჩვენი ერთი უსაბრალოობა ეძნიდა ლაურეატების კანდიდატთა შორის ნიჩბოსნებიც, სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების ჩემპიონები ლევან ლორთქიფანიძე, თემურ დარსაველიძე, სოსო სულიკაშვილი, გიორგი დოლიძე და ნუგზარ აბელოვი არ დაგვესახელებინა.

რატომ? თუნდაც იმიტომ, რომ ნიჩბოსნობა ძალიან ძნელი სახეობაა. თუმცა ადვილი რომელია, მაგრამ...

რბოლა დაიწყო. ნიჩბის ყოველ მოსმას მთელ ძალას ახმარენ. მექანიზმივით მუშაობენ. კუნთებში ქვის სიმაგრეს გრძნობენ და იმედიანად არიან. მთელი არსებით წინ მიისწრაფვიან. დისტანციის ნახევარ-

მარცხნიდან: ნ. აბელოვი, ს. სულიკაშვილი, ლ. ლორთქიფანიძე, გ. დოლიძე, თ. დარსაველიძე.

მადგენელთა წარმატებებს შეეჩვევნენ, ნიჩბოსნებისა კი უკვირთ. „ამათი“ გამარჯვება უხარიათ, მაგრამ „იმათი“ (ფეხბურთელებისა ან კალათბურთელებისა) უფრო ახარებთ. ნიჩბოსნებს ეს არ სწყინთ, რადგანაც იციან, რომ სპორტის გულშემატკივრებს პოპულარულ და პრესტიჟულ სახეობებში მოპოვებული გამარჯვებები უფრო ეამაყებათ და როცა წლის მონაგრის შეჯამების დრო დადგება, უპირველეს ყოვლისა, მათ გაიხსენებენ. ასეა, სეზონის მიწურულს ყველაფერი მისხალ-მისხალ აიწონება. ლაურეატგაიარეს, ფინიშს მიუახლოვდნენ. „წინ“! მოუწოდებს გონება, მაგრამ სხეულს ვეღარ იმორჩილებენ. კუნთების რკინის პერანგი, ორიოდე წუთის წინ რვალივით მტკიცე რომ ეგონათ, გაცხელდა და ძვლებს შემოეწოთო. „მორჩა. მეტი აღარ შეძლია“ — განწირულობა იგრძნობა ამ გადაწყვეტილებაში... რა ძალა იყო, ხელების ჩამოშვება რომ არ დაანება და ფინიშსკენ უბიძგა, თვითონაც

იხ. მე.2 გვ

გთავაზობთ წინადადებას

შევურჩიოთ სახელი

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების ერთ მძლავრ ორგანიზაციად — პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტულ საზოგადოებად გაერთიანება დროის მოთხოვნითაა ნაკარნახევი. რეორგანიზაციის მიზანი ყველასათვის გასაგებია. ამ დღეებში საზოგადოების დებულებაც გამოქვეყნდა, სადაც ყველაფერი კონკრეტულადაა ჩამოყალიბებული. ჩვენ გვინდა ყურადღება შევაჩეროთ იმაზე, თუ რა ვუწოდოთ ახალშექმნილ საზოგადოებას. ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკებში, კერძოდ ბალტიისპირეთში მას მოხდენილი, ეროვნულ ნიადაგთან დაკავშირებული სახელი უწოდეს. და აი, გაგვიჩნდა აზრი — საქართველოს პროფკავშირულ ნებაყოფლობით ფიზკულტურულ-სპორტულ საზოგადოებას დავარქვათ ქართველი ხალხის ეროვნული გმირის სახელი — „ამირანი“. მით უმეტეს, უკვე გვაქვს საქართველოს პროფსაბჭოს სასტუმრო „ამირანი“, რომელიც ფაქტიურად სპორტსმენებს ემსახურება.

ელენე ბოკიელი,
როგერტ შავლაქაძე,
გურამ მინაშვილი,
დიმიტრი იოსელიანი.
სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატები.

მეგობრული ვიზიტით

ფრანგი ჟურნალისტები ეცნობიან საქართველოს ქალთა სპორტულ ტრადიციებს

— ჩვენი ვიზიტის მიზანია გავეცნოთ საქართველოს ქალთა სპორტის ტრადიციებს — განაცხადეს ფრანგმა სპორტულმა ჟურნალისტებმა, რომლებიც ამ დღეებში ჩვენს დედაქალაქს ეწვივნენ. მათი ინტერესი ჩვენი სპორტისადმი შემთხვევითი არ არის. სსრ კავშირისა და საფრანგეთის სპორტული ურთიერთობის ისტორია უკვე 60 წელს ითვლის. საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად ჩატარებულ სიმპოზიუმზე შარშან ამ ორი ქვეყნის სპორტული ურთიერთობის ასოციაციის პრეზიდენტის ივინ ადამის მიწვევით საფრანგეთში საქართველოს 3 წარმომადგენელიც გაემგზავრა. ამ დღეებში ფრანგები საპასუხო ვიზიტით ჩამოვიდნენ საქართველოში. ფიზკულტურის ინსტიტუტში, მათ გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს. პროფესორმა ა. ციბაძემ სტუმრებს გააცნო ქალთა სპორტის განვითარების ისტორია საქართველოში. მსოფლიოში ცნობილ ქართველ მოჭადრაკე ქალთა წარმატებებზე მათ ესაუბრა დოცენტი თ. გიორგაძე. შემდეგ ფრანგი ჟურნალისტები ინსტიტუტის ანატომიისა და ტანვარჯიშის კათედრებს ესტუმრნენ.

სპორტული მედიცინის სპეციალისტი ჟან კლაუდ ლაბადიე დაინტერესდა საქართველოს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სამკურნალო-ფიზკულტურის და სპორტული მედიცინის კათედრაზე დანერგილი რაციონალური (სამკურნალო ცხენოსნობის) მეთოდით. იგი, ესტუმრა და ესაუბრა კათედრის გამგეს დ. წვერავას.

სტუმრები გაეცნენ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს და სპორტულ ცხოვრებას, იყვნენ ტანვარჯიშის უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკურ სკოლაში.

ნინო სიმონიშვილი



იუბილეს მიუძღვნა

ოთარ ჭიჭინაძე კვლავ მარათონულ დისტანციაზეა

თავისებური საჩუქრით შეხვდა დიდი ოქტომბრის 70-ე წლისთავს ცნობილი მარათონელი მოცურავე ოთარ ჭიჭინაძე. შაბათს, დილით მან თბილისის № 140-ე პროფტექნიკური სასწავლებლის საცურაო აუზში (25 მეტრიანი) დაიწყო მარათონული დისტანციის დაფარვა.

ყოფილმა ძალოსანმა ოთარ ჭიჭინაძემ ცურვაში ეარჯიში 38 წლის ასაკში დაიწყო, მაშინ, როცა აქტიურ სპორტს თავი დაანება. მისი პირველი მწვრთნელი იყო ირაკლი ქორჩილავა (დღეს მალხაზ ქათამაძე წვრთნის).

მარათონული დისტანციები ოთარ ჭიჭინაძეს არაერთხელ დაუძლევია. 1972 წელს მან ახალი ათონიდან სოხუმამდე 25 კმ 11,5 საათში დაფარა, ერთი წლის შემდეგ კი გუდაუთიდან ბიჭვინთამდე 28 კმ-ის გაცურვას 9 საათი მოანდომა.

— მინდოდა რევოლუციის საიუბილეო თარიღს სპორტში მოპოვებული წარმატებით შევხვედროდი — 70 კმ გამეცურა, მაგრამ სექტემბერში ვერ ვივარჯიშე, ამიტომ ამჯერად 30 კმ-ის გადალახვას ვაპირებ.

⊙ **სად უფრო ძნელია ცურვა, აუზში თუ ზღვაში?**

— ზღვის წყლის ყველაზე ერთი წონა მეტია, ამიტომ იქ უფრო ნაკლები ენერგია გვჭირდება. მტკნარ-

იხ. მე.4 გვ

სურათზე: ოთარ ჭიჭინაძეს სტარტის წინ ესაუბრება პირველი მწვრთნელი ირაკლი ქორჩილავა.

დებიუტანტი არ ხუმრობს

7 ნოემბერს მოჭადრაკე ქალთა 47-ე საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეებს გადადებული პარტიები უნდა დაემთავრებინათ. ამ დროისთვის ოთხი ასეთი პარტია დაგროვდა, მაგრამ მხოლოდ ორი მოჭადრაკე მიუჯდა დაფას — ზოია ელჩუკი და ნანა იოსელიანი. IV ტურში მათი შეხვედრა ლვოველი საერთაშორისო ოსტატის მატერიალური უპირატესობით გადაიდო. ელჩუკმა კარგად გამოიყენა ეს უპირატესობა და პირველი მარცხი აგება საბჭოთა კავშირის ჩემპიონს. დანარჩენებმა თამაშის განუახლებლად „მოაგვარეს საქმე“: ხოროვეცი დაუზავდა გალიამოვას (IV ტური), გალიამოვამ ქულა გაიყო ქასოშვილთან (VI ტური), ახმილოვსკაიამ მოუგო ლიტინსკაიას (VI ტური).

8 ნოემბერს ჩემპიონატის მონაწილეები ისვენებდნენ. მხოლოდ ციალა ქასოშვილმა და ზოია ელჩუკმა ვერ მოიცალეს დასასვენებლად — ისინი II ტურის გამოტოვებულ პარტიას თამაშობდნენ. გამარჯვა ქართველმა მოჭადრაკემ. სასიხარულოა, რომ თავდაპირველად უფერული გამოსვლის შემდეგ ჩემპიონატის დებიუტანტი, გორელი ოსტატი აშკარად უკეთესად თამაშობს და ლიდერთა ჯგუფშიც დამკვიდრდა. თუ პირველ სამ ტურში ქასოშვილს მხოლოდ ნახევარი ქულა ჰქონდა, მომდევნო ოთხ შეხვედრაში მან 3,5 ქულა მოაგროვა.

7 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ნინო გურიელი, ელენა ახმილოვსკაია — 5-5 ქულა, ნანა იოსელიანი, ალისა გალიამოვა, რაისა ეიდელსონი — 4,5-4,5, ციალა ქასოშვილი, მარტა ლიტინსკაია, ლიდია სემიონოვა, ზოია ელჩუკი, აინურ სოფიევა — 4-4.

ელვა-ინფორმაცია

გუშინ ხევილიაში გაიმართა გ. კახპაროვ — ა. კარპოვის მატჩის მეთერთმეტე პარტია მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის. თეთრებით თამაშობს ექს-ჩემპიონი. გაკეთდა 22 სვლა, სადაც კარპოვს ზედმეტი პაიი აქვს, მაგრამ კახპაროვის მხუბუჭი ფიგურები აქტიურადაა განლაგებული.

ალბერტ კაზანჯიანი გამარჯვებულთა შორის

გუდაბეშში ჩატარდა მოკრივეთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი „დობოს“ თასზე, რომლის პარალელურად ორ წონაში (48 და 91 კგ) ევროპის თასი გათამაშდა.

სამწუხაროდ, ევროპის თასზე საბჭოთა მოკრივეები სუსტად გამოვიდნენ.

სამაგიეროდ, სხვა წონებში ჩვენმა მოკრივეებმა კარგი შედეგები აჩვენეს. პირველი ადგილები დაიკავეს: თბილისელმა ალბერტ კაზანჯიანმა (57 კგ), ერევნელმა ისრაელ აკოპოხიანმა (71 კგ), გროზნოელმა რუსლან ტარამოვმა (75 კგ) და კრასნოდარელმა ანდრეი კარავაევმა (81 კგ).



ᲐᲮᲚᲐ ᲓᲘᲓ ᲛᲝᲓᲐᲨᲘᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ „ᲡᲐᲓ ᲛᲘᲓᲘᲐᲜ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ?“. ᲐᲛᲓᲒᲐᲠ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲡ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲨᲔᲮᲕᲓᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲖᲗᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ, ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲛᲚᲝᲑᲐ „ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ Დ ᲡᲞᲝᲠᲢᲛᲐ“ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲬᲘᲒᲜᲓᲐᲪ ᲓᲐᲡᲢᲐᲛᲑᲐ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲛ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲗ, ᲮᲝᲚᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ Დ ᲡᲞᲝᲠᲢᲡ“ ᲐᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲐᲪ ᲐᲥᲕᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲪᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲓᲐ ᲡᲐᲓ ᲛᲘᲓᲘᲐᲜ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ? ᲖᲝᲒᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲨᲘ ᲠᲩᲔᲑᲐ ᲛᲫᲕᲠᲗᲜᲔᲚᲐᲓ ᲐᲜ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ-ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲛᲣᲨᲐᲙᲐᲓ, ᲖᲝᲒᲘ ᲙᲘ (ᲐᲡᲔᲗᲘ, ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲐᲠᲪ ᲘᲡᲔ ᲪᲝᲢᲐᲜᲐ ᲐᲠᲘᲐᲜ) ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲔᲜ ᲛᲝᲛᲬᲘᲚᲝᲑᲡ.

ᲛᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲐᲡᲐᲐᲛᲝᲕᲜᲝᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲡ ᲘᲡᲔ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ — ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲣᲧᲐᲠᲔᲚ, ᲐᲡᲔ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ, ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲤᲔᲠᲝᲜᲘ ᲛᲝᲛᲬᲘᲚᲝᲑᲡ.

ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲓᲐ ᲡᲐᲓ ᲛᲘᲓᲘᲐᲜ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ? ᲖᲝᲒᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲨᲘ ᲠᲩᲔᲑᲐ ᲛᲫᲕᲠᲗᲜᲔᲚᲐᲓ ᲐᲜ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ-ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲛᲣᲨᲐᲙᲐᲓ, ᲖᲝᲒᲘ ᲙᲘ (ᲐᲡᲔᲗᲘ, ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲐᲠᲪ ᲘᲡᲔ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲤᲔᲠᲝᲜᲘ ᲛᲝᲛᲬᲘᲚᲝᲑᲡ.

ᲛᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲐᲡᲐᲐᲛᲝᲕᲜᲝᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲡ ᲘᲡᲔ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ — ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲣᲧᲐᲠᲔᲚ, ᲐᲡᲔ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ, ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲤᲔᲠᲝᲜᲘ ᲛᲝᲛᲬᲘᲚᲝᲑᲡ.

ᲛᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲐᲡᲐᲐᲛᲝᲕᲜᲝᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲡ ᲘᲡᲔ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ — ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲣᲧᲐᲠᲔᲚ, ᲐᲡᲔ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ, ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲤᲔᲠᲝᲜᲘ ᲛᲝᲛᲬᲘᲚᲝᲑᲡ.

ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲓᲐ ᲡᲐᲓ ᲛᲘᲓᲘᲐᲜ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ? ᲖᲝᲒᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲨᲘ ᲠᲩᲔᲑᲐ ᲛᲫᲕᲠᲗᲜᲔᲚᲐᲓ ᲐᲜ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ-ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲛᲣᲨᲐᲙᲐᲓ, ᲖᲝᲒᲘ ᲙᲘ (ᲐᲡᲔᲗᲘ, ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲐᲠᲪ ᲘᲡᲔ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲤᲔᲠᲝᲜᲘ ᲛᲝᲛᲬᲘᲚᲝᲑᲡ.

ᲛᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲐᲡᲐᲐᲛᲝᲕᲜᲝᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲡ ᲘᲡᲔ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ — ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲣᲧᲐᲠᲔᲚ, ᲐᲡᲔ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ, ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲤᲔᲠᲝᲜᲘ ᲛᲝᲛᲬᲘᲚᲝᲑᲡ.

ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲓᲐ ᲡᲐᲓ ᲛᲘᲓᲘᲐᲜ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ? ᲖᲝᲒᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲨᲘ ᲠᲩᲔᲑᲐ ᲛᲫᲕᲠᲗᲜᲔᲚᲐᲓ ᲐᲜ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ-ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲛᲣᲨᲐᲙᲐᲓ, ᲖᲝᲒᲘ ᲙᲘ (ᲐᲡᲔᲗᲘ, ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲐᲠᲪ ᲘᲡᲔ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲤᲔᲠᲝᲜᲘ ᲛᲝᲛᲬᲘᲚᲝᲑᲡ.

ᲛᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲐᲡᲐᲐᲛᲝᲕᲜᲝᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲡ ᲘᲡᲔ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ — ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲣᲧᲐᲠᲔᲚ, ᲐᲡᲔ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ, ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲤᲔᲠᲝᲜᲘ ᲛᲝᲛᲬᲘᲚᲝᲑᲡ.

⊙ რამდენი წელიწადია, რაც წახვედით სპორტიდან?

— 13. თუმცა, როგორც იცით, მასთან კავშირი არ შემიწყვეტია. როგორც საერთაშორისო კატეგორიის არბიტრს, ხშირად მიხდება მსაჯობა შინ თუ საზღვარგარეთ. ცხადია, ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებსაც გარკვეულ დახმარებას ვუწევ მუდამ.

⊙ ვინ არის თქვენი ვაუის ოფიციალური მწვრთნელი?

— კახას ზელიმხან თვაური და მე ვავარჯიშებთ. ცხადია, კახამ პირველი ნაბიჯები სპორტში ჩემი ხელმძღვანელობით გადადგა.

⊙ რა პერსპექტივა აქვს კახას, რა სუსტი და ძლიერი მხარეები გააჩნია წაქაძე — უმცროსს?

— კმაყოფილებით შემიძლია გითხრათ, რომ კახას როგორც სპორტსმენს, დღეს ბევრი რამე აქვს დადებითი. მისი ყველაზე დიდი ნაკლია, ალბათ, მეტისმეტი გამბედაობა, რასაც ხშირად ტრავმები მოსდევს. აი, გამოჯანმრთელება კი, როგორც იცით, დიდ დროს აკარგვინებს. კახა ზედიზედ ორი წელიწადია სსრ კავშირის ჩემპიონია იუნიორთა შორის, გასული სპორტული სეზონიც საკმაოდ კარგად დაამთავრა. როგორც სპეციალისტები ამბობენ, იგი დღეს ერთ-ერთი წამყვანი სპორტსმენია სსრ კავშირში. მართალია, იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატში იგი მხოლოდ XVIII იყო, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს გარკვეულ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს. ასეა თუ ისე კახა შეყვანილია ქვეყნის ნაკრები გუნდის ძირითად შემადგენლობაში, რომელიც კალგარის (კანადა) ზამთრის ოლიმპიადისათვის ემზადება. გამოგიტყდებთ, რომ საკავშირო სპორტსახკომს კახასათვის დაგეგმილი აქვს მეექვსე ადგილი თეთრ ოლიმპიადაზე. ანუ ერთი ქულის მოპოვება.

წაქაძე დაბრუნდა

ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲘᲒᲘ ᲕᲝᲠᲝᲮᲢᲘᲡ 70-ᲛᲔᲢᲠᲘᲐᲜ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲡᲐᲤᲐᲠᲘᲐᲜ ᲢᲠᲐᲛᲞᲚᲘᲜᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲒᲘᲓᲐ, ᲛᲔᲠᲔ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲡᲝᲩᲮᲣᲛᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲖᲦᲕᲠᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲓᲘᲓᲝᲓᲐ. ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲡ Ს�პᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲗᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲗᲘᲡᲖᲔ ᲘᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲔᲑᲡ ᲙᲐᲜᲐᲓᲐᲨᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲙᲐᲮᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲝᲗᲮ ᲛᲮᲢᲝᲛᲔᲚᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲬᲕᲠᲗᲜᲐᲡ ᲤᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲡ. ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲐ, ᲘᲣᲜᲘᲝᲠᲗᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲨᲘ Ი�გᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ XVIII ᲘᲧᲝ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ, ᲩᲔᲛᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲔᲡ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲓ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲩᲐᲗᲕᲐᲚᲝᲡ. ᲐᲡᲔᲐ ᲗᲣ ᲘᲡᲔ ᲙᲐᲮᲐ ᲨᲔᲣᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲛᲔᲠᲔ ᲙᲐᲮᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲝᲗᲮ ᲛᲮᲢᲝᲛᲔᲚᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲬᲕᲠᲗᲜᲐᲡ ᲤᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲡ. ᲛᲔᲠᲔ ᲛᲔᲪᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲘᲒᲘ ᲘᲛᲧᲝᲤᲝᲓᲐ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲠᲘᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲓᲐᲒᲝᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲔᲪᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲘᲒᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ. ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲐ, ᲘᲣᲜᲘᲝᲠᲗᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲨᲘ Ი�გᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ XVIII ᲘᲧᲝ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ, ᲩᲔᲛᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲔᲡ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲓ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲩᲐᲗᲕᲐᲚᲝᲡ. ᲐᲡᲔᲐ ᲗᲣ ᲘᲡᲔ ᲙᲐᲮᲐ ᲨᲔᲣᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲛᲔᲠᲔ ᲙᲐᲮᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲝᲗᲮ ᲛᲮᲢᲝᲛᲔᲚᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲬᲕᲠᲗᲜᲐᲡ ᲤᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲡ. ᲛᲔᲠᲔ ᲛᲔᲪᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲘᲒᲘ ᲘᲛᲧᲝᲤᲝᲓᲐ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲠᲘᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲓᲐᲒᲝᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲔᲪᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲐ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲝᲤᲚᲘ ᲓᲐᲘᲪᲐᲚᲐ ᲤᲣᲭᲐᲓ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲓᲐ. ᲡᲮᲕᲐᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡ, ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲕᲝᲠᲝᲮᲢᲐᲨᲘ ᲧᲝᲤᲜᲘᲡᲐᲡ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲔᲪᲘᲗᲮᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲠ ᲘᲡᲘᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲢᲠᲐᲛᲞᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲛᲪᲔ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠ

ეს მარცხი „ტორპედოს“ საცკივარი არაა!

ეკა ფიქრიძე,
„ლელოს“ ფეხბურთის
ექსპერტი

უიღბლო სეზონი დაუდგათ საქართველოს საფეხბურთო გუნდებს. თბილისისა და ბათუმის დინამოელებმა რის ვაი-ვაგლახით შეინარჩუნეს ადგილი უმაღლეს და პირველ ლიგებში, მაგრამ იმავე ლიგებში გაისად აღარ იასპარეზებენ ლანჩხუთის „გურია“ და ქუთაისის „ტორპედო“. უდავოდ, საგანგაშო შემთხვევაა. სპორტის, კერძოდ, ფეხბურთის მოყვარულებს სერიოზულად აშფოთებს ჩვენი ფეხბურთის ახლანდელი მდგომარეობა. ამაზე მეტყველებს უამრავი წერილი, რომელიც რედაქციაში მოდის. ცხადია, მათ ავტორებს სურთ დაჯერებული იყვნენ, ხვალინდელი დღის საიმედოობაში, მოითხოვენ შესაბამისი, თუ ეს საჭიროა, რადიკალურ ღონისძიებათა გატარებას.

სპორტის მოყვარულები განსაკუთრებით განიცდიან ქუთაისელ ფეხბურთელთა წლევანდელ წარუმატებლობას. მართლაც, რა მოხდა? ნუთუ ქუთაისელთა ტრადიციები ისე დაილია და გაქარწყლდა, ფეხბურთისადმი სიყვარული და საერთო ინტერესი ისე განელდა, რომ ჩვენი მეორე ქალაქის სპორტის მესვეურებმა, ქუთაისის მთელმა საზოგადოებრიობამ ორ-სამ წელიწადში პირველი ლიგის ღირსი საფეხბურთო კოლექტივიც კი ვერ შეინარჩუნა?

ის, რაც ქუთაისის გუნდში მოხდა, წლების მანძილზე მზადდებოდა როგორც ქუთაისში, ისე საერთოდ ქართულ ფეხბურთში. რ. შენგელიასა და თ. ხულაქველიძის შემდეგ მაღალი კლასის ფეხბურთელი „ტორპედოში“ აღარ აღზრდილა. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს აქაურ ბავშვთა შორის მუშაობა. მახობრივი ფეხბურთის განვითარებისთვის არ არის პირობები, პირველ ყოვლისა, სათამაშო მინდვრები, „დინამოს“ სტადიონზე გაუთავებელი რემონტია. და აი, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: ქუთაისიდან ფეხბურთელთა მიგრაცია უკუპროცესით შეიცვალა. ამას ღაღმატა თავმოყვარეობის შემლახველი მითქმა-მოთქმა, რაც ქუთაისის „ტორპედოსთან“ დაკავშირებით არა და არ შეწყდა. ჩვენ შორს ვართ იმ აზრიდან, რომ შეუმოწმებლად ვირწმუნოთ ყოველივე, მაგრამ ანგარიში ხომ უნდა გავუწიოთ საზოგადოებრივ აზრს? ხომ ცხადია, რომ მოჭარბებული ამბიციები და მარტო სურვილები ვერ შექმნის დიდ ფეხბურთს. ამის გაგება, პირდაპირ უნდა ითქვას, ცოტა ჭირდა ქუთაისში. ქუთაისის ხელმძღვანელობა ამ ბოლო ხანს გულწრფელად შეეცადა რეალური საფუძვლები შეექმნა ამ ქალაქში ფეხბურთის განვითარებისთვის და, სწორედ ამან გამოიწვია წინააღმდეგობა მუშაობის სისტემის გარდაქმნა-გადახალისებაში. მართალია, გუნდში მიიყვანეს ახალი მწვრთნელი ვ. არზამასცევი, როგორც გამონაკლისი გუნდში სათამაშოდ დაუშვეს ახალი ფეხბურთელები უშუალოდ სეზონის მიმდინარეობის პროცესში, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც ამ ღონისძიებებმა უშველა საქმეს — „ტორპედომ“ დატოვა პირველი ლიგა! ცხადია, ეს მძიმე დანაკლისია, მაგრამ დღევანდელი საერთო განწყობა, ფიქრი იმაზე, რომ ავტოქარხნელები კვლავ უნდა დაუბრუნდნენ პირველ ლიგას და, საერთოდ საბჭოთა ფეხბურთის ელიტას, იმედს გვისახავს. „ტორპედოს“ შველა უნდა და ეს საკითხი ეხება ყველას — ქუთაისის ხელმძღვანელ ორგანოებს, საქართველოს სპორტსახკომს, მთელს ჩვენს სპორტულ საზოგადოებას... ვიმეორებთ, ქართული ფეხბურთის უმთავრესი ამოცანაა ქუთაისის „ტორპედოს“ ჯერ პირველ, შემდგომში კი უმაღლეს ლიგაში დაბრუნება. თბილისის „დინამოს“ შემდეგ ქუთაისის „ტორპედოს“ საუკეთესო ფეხბურთელებით დაკომპლექტებაც და საკუთარ რეზერვზე ზრუნვაც ასევე უპირველესი ამოცანა უნდა იყოს. და მაინც ეს მხოლოდ საქმის ერთი მხარეა. ძალზე მნიშვნელოვანია, აგრეთვე, გუნდის მატერიალურ-სპორტული და ტექნიკური ბაზის განმტკიცება. ამ საქმეში, ალბათ, აქტიურად უნდა გამოვიყენოთ სახსრების კოოპერირების მეთოდი. და ქუთაისში არც ის უნდა დაავიწყდეთ, რომ „ტორპედო“ ავტოქარხნის გუნდია, ამიტომ, ბევრი რამ ამ შრომითმა კოლექტივმა, მისმა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ და სპორტულმა კლუბმა უნდა ითავოს.

რეზერვის მომზადება ვახსენეთ. ალბათ დადგა დრო ქუთაისში გაიხსნას ინტერნატის ტიპის სასწავლებელი ან შეიქმნას ისეთივე ზოგადსაგანმანათლებლო სპორტული პროფილის (ფეხბურთის) სკოლა, როგორიც თბილისში 35-ე სკოლაა. რეზერვის მომზადებაში დიდი და კეთილი სამსახურის გაწევა შეუძლიათ აგრეთვე ქალაქის მსხვილ საწარმოო-დაწესებულებებს, ხომ შეიძლება თითოეულმა შრომითმა კოლექტივმა თუნდაც თითო ჯგუფი გახსნას თავიანთი მუშა-მოსამსახურეების ბავშვებისთვის? რა თქმა უნდა, შეიძლება!

აქვე უნდა ითქვას ქუთაისის „იმერეთზე“, რომელიც „ტორპედოს“ საბაზო გუნდის პირობაზე საქართველოს პირველობის I ჯგუფში ასპარეზობს. აქ ეს გუნდი მაშინ დაუშვეს, როცა „ტორპედოს“ უჭირდა. იყო ამ გადაწყვეტილებაში სტრატეგიული მოსაზრება, მაგრამ მერე და მერე გამოირკვა, რომ „იმერეთი“ სათანადოდ ვერ იყო უზრუნველყოფილი, გუნდს არც სავარჯიშო ბაზა, არც სათამაშო მინდორი აქვს ხეირიანი და არც ავტობუსი ჰყავს, გადაუჭრელი დარჩა მწვრთნელის ხელფასის საკითხიც. იქნებ დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ ფაქტია, კოლექტივში, სადაც ძირითადად პერსპექტიული მოზარდი ფეხბურთელები უნდა ოსტატდებოდნენ, სამი უფროსი ახალგაზრდა მოთამაშე 19 წლისაა, საერთოდ გუნდის 21 წევრიდან 18 ფეხბურთელი 20 წელს გადაცილებულია. ვასილ ტროიანი, მაგალითად, 40 წლისაა, 38 წლისაა მოთამაშე მწვრთნელი დურმიშხან აბაშიძე, 32 წლისაა ამირან ნუცუბიძე... ერთი სიტყვით, ქუთაისში რეზერვის აღზრდის საქმეშიც სავალალო მდგომარეობაა. და აქვე როგორ არ ითქვას: ქალაქში ბავშვთა და მოზარდთა ორი სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა მუშაობს — ერთი განათლების სისტემისაა, მეორე თვით „ტორპედოსი“.

ქუთაისი სპორტული ქალაქია, ქართული სპორტის ადგილის დედაა. თუ რა შეუძლია მონდომებას, წლეულს უკვე თვალნათლივ დამტკიცეს ქუთაისელმა რეგბისტებმა, რომლებმაც საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა და თასი მოიპოვეს.

გულშემატკივრებს სჯერათ, რომ ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდი კვლავ აღორძინდება და ისევ გაგვახარებს თავისი წარმატებებით. სამწუხაროდ, ქართულ ფეხბურთში დაგროვილი პრობლემები მხოლოდ ქუთაისელთა სატკივარი არ არის. სათქმელი ალბათ ბოლომდე უნდა ითქვას: მხოლოდ მედროვეთა ინტერესებით ცხოვრებამ, ადგილებზე ფეხბურთის, უფრო სწორად, ერთი გუნდის გაფეტიშებამ და კუდაბზიკურმა თავმოწონებამ საბოლოოდ სავალალო მდგომარეობამდე მიგვიყვანა. ლამის კანონის ძალა შეიძინა ყველაფერმა ნეგატიურმა, რაც ჩვენს ფეხბურთს ვნებდა და ძირს უთხრიდა. გასულ წლებში არ ეკავათ სწორი პოზიცია პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასკომების ხელმძღვანელებს. სიდინჯე და გამიზნულობა აკლდა მათ საქმიანობას. გუნდი ფაქტიურად იზოლირებული იყო საზოგადოებრივი აზრიდან, ძალზე მოიკოჭლებდა აღმზრდელობითი მუშაობა.

შარშან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა პრინციპული ღონისძიებების გატარება დაიწყო. ბაგრამ, [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

ᲘᲣᲒᲘᲚᲔᲡ ᲛᲘᲣᲫᲚᲕᲜᲐ

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

წყალში კი მარათონული დისტანცია ყოველთვის ძნელი დასაძლევია, მხოლოდ ერთი უპირატესობა აქვს აუზს — შემოტრიალებისას კედელზე ფეხის კვრა ისეთ ბიძგს გაძლევს, 2-3 მეტრზე გასრიალდები.

◎ **როგორი სტილით იასპარეზებთ?**

— ნახევარზე მეტ მანძილზე კროლით, შესვენებისას კი გულაღმა და ბრასით.

◎ **საკვებს როგორღა მიიღებთ?**

— ზღვაში ნავიდან მაწვდიდნენ საკვებს, უფლება არ მქონდა ნავისათვის ხელი მომეკიდა, აუზში კი ცოტა ხნით გაჩერება მომიწევს.

◎ **მაინც რას მიირთმევთ?**

— მარათონელი მოცურავის რაციონი შეზღუდულია. თაფლი, ლიმონის წვენი, გროწეულის წვენი, ქიშმიში, ნიგოზი, გარგარის ჩირი — აი, ჩემი „სადღესასწაულო სუფრა“.

აქ ოთარ ჭიჭინაძემ ბოდიში მოგვიხადა და წყალში გადაეშვა... თუ რამდენი კილომეტრი გაცურა მან, ამას მალე შეგატყობინებთ.

თვალს ვადევნებდით როგორ ლაღად მიაპობდა წყალს. მსჯელები საქმეს შეუდგნენ. მერე შემცვლელებიც მოუვიდნენ (სულ სამ ბრიგადას უნდა ემსაჯა).

საღამოს ტელეფონით დავუკავშირდით აუზს. — ბატონმა ოთარმა 30 კილომეტრზე მეტი დაფარა, — გვითხრა ექიმმა ლეო შენგელიამ. ამ ხნის განმავლობაში ექვსჯერ მიიღო წვენი, ერთხელ — საკვები. პირველი 10 კილომეტრი თავისუფლად დაძლია, მეორე ცოტა გაუჭირდა, მაგრამ ახლა, თითქოს მეორე სუნთქვა გაეხსნაო, ისევ მხნედ გრძნობს თავს. პულსი 80-90 აქვს, წნევაც ნორმალური — 150-90-ზე.

გულმა არ მოგვითმინა და ისევ ვეწვიეთ აუზს. მარათონელი ერთ ტემპში, რიტმულად მიცურავდა. გავიდა 11 ს. და 45 წუთი. ექიმმა, წინაალმდეგობის მიუხედავად, ცურვა შეაწყვეტინა. ამ დროს ოთარ ჭიჭინაძეს 37 კილომეტრი ჰქონდა დაძლეული.

ექიმისა და მწვრთნელების დაჟინებული მოთხოვნა რომ არა, შემეძლო კიდევ რამდენიმე საათი გამეძლო: დავრწმუნდი, რომ 70 კილომეტრის დაძლევასაც შევძლებ, — გვითხრა ოთარმა.

ᲯᲔᲛᲐᲚ ᲙᲐᲡᲠᲐᲫᲔ.



ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲔ ᲛᲐᲠᲐᲗᲝᲜᲣᲚᲘ ᲪᲣᲠᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ.

ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲯᲐᲜᲯᲦᲐᲕᲐᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲚᲕᲝᲕᲨᲘ გაიხსნა სსრ კავშირის I ლიგის მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობს 8 დიდოსტატი, 4 საერთაშორისო ოსტატი, 1 ფიდე-ს ოსტატი და 5 ეროვნული ოსტატი.

ჟენჭისყრის შედეგად მოჭადრაკეები ასე განლაგდნენ სატურნირო ცხრილში: 1. დიდოსტატი ა. პანჩენკო (ჩელიაბინსკი), 2. ოსტატი ზ. მალიშაუსკასი (ვილნიუსი), 3. ოსტატი ლ. ჯანჯღავა (თბილისი), 4. დიდოსტატი ა. ჩერნინი (ხარკოვი), 5. ოსტატი ა. ვიემანავინი (მოსკოვი), 6. დიდოსტატი მ. გურევიჩი (ხარკოვი), 7. ოსტატი გ. კაიდანოვი (მოსკოვი), 8. საერთაშორისო ოსტატი ი. ნოვიკოვი (ხარკოვი), 9. დიდოსტატი გ. ზაიჩიკი (თბილისი), 10. ოსტატი ე. როზენტალისი (ვილნიუსი), 11. დიდოსტატი გ. გავრიკოვი (ვილნიუსი), 12. დიდოსტატი ს. ლუტიანი (ერევანი), 13. დიდოსტატი ა. მიხალჩიშინი (ლვოვი), 14. საერთაშორისო ოსტატი ვ. ივანჩუკი (ლვოვი), 15. დიდოსტატი ო. რომანიშინი (ლვოვი), 16. საერთაშორისო ოსტატი ე. ბარეევი (მოსკოვი), 17. საერთაშორისო ოსტატი ლ. იუდასინი (ლენინგრადი), 18. ფიდე-ს ოსტატი ა. დრეევი (მოსკოვი).

I ტურში მალიშაუსკასმა სძლია იუდასინს, დაზავდნენ ჯანჯღავა-ბარეევი, ჩერნინი-რომანიშინი, გურევიჩი-მიხალჩიშინი, კაიდანოვი-ლუტიანი, ვიემანავინი-ივანჩუკი. დაახლოებით თანაბარ პოზიციებში გადაიდო ზაიჩიკ-როზენტალისის, პანჩენკო-დრეევის და ნოვიკოვ-გავრიკოვის შეხვედრები.

II ტურში იუდასინმა სძლია ჯანჯღავას, დრეევმა — როზენტალისს. დაზავდნენ გავრიკოვ-ზაიჩიკი, ლუტიან-ნოვიკოვი, მიხალჩიშინ-კაიდანოვი, ბარეევ-ჩერნინი და პანჩენკო-მალიშაუსკასი. გადაიდო ივანჩუკ-გურევიჩისა და რომანიშინ-ვიემანავინის პარტიები.

III ტურში პირველი გამარჯვება იზეიმა ლაშა ჯანჯღავამ. მან მეტად ეფექტურად დაამარცხა დიდოსტატი პანჩენკო. გენდი ზაიჩიკი კვლავ დაუზავდა მეტოქეს, ამჯერად ლუტიანს. ამ ტურის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: როზენტალისი-გავრიკოვი 1:0, კაიდანოვი-ივანჩუკი — 0:1, ვიემანავინი-ბარეევი 1:0, ჩერნინი-იუდასინი 0:1, მალიშაუსკასი-დრეევი — 0,5:0,5. გადაიდო გურევიჩ-რომანიშინისა და ნოვიკოვ-მიხალჩიშინის შეხვედრები.

ამრიგად, ტურნირს 2,5 ქულით ლიდერობს ლ. იუდასინი. 1,5-1,5 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ ვ. ივანჩუკს, ა. ვიემანავინსა და ა. დრეევს. 1,5-1,5 — ლ. ჯანჯღავას, ზ. მალიშაუსკასსა და ს. ლუტიანს. ზაიჩიკს 1 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.

ᲡᲐᲛᲘᲕᲔ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ 9-ᲥᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲘᲗ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები ტურნეს ატარებს აშშ-ს ქალაქებში. პირველ შეხვედრაში ჩვენმა გუნდმა ილინოისის შტატის უნივერსიტეტის კალათბურთელები დაამარცხა 71:62.

მომდევნო მატჩი ატლანტაში ჯორჯტაუნის უნივერსიტეტის გუნდთან გაიმართა. უპირატესობა ამჯერადაც საბჭოთა სპორტსმენების მხარეს იყო — 87:78 (40:42). თავი გამოიჩინა მარჩიულენისმა, რომელმაც თავის კოლექტივს 20 ქულა შესძინა.

მესამე შეხვედრაში ჩვენი გუნდის მეტოქე ერთ-ერთი უძლიერესი საუნივერსიტეტო კლუბი იყო (სამხრეთ კოროლინის შტატიდან). ეს ბრძოლაც სტუმრებმა მოიგეს — 99:90. ამჯერად ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი ვოლკოვი იყო — 20 ქულა.

აღსანიშნავია, რომ დღემდე ჩატარებულ სამივე შეხვედრაში საბჭოთა კალათბურთელების უპირატესობა 9-9 ქულით განისაზღვრა.



ᲡᲔᲣᲚᲘ. აქ გაიმართა საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში. საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებიც მხოლოდ თორმეტ წონაში ასპარეზობდნენ (ექვსი — თავისუფალი, ექვსი — კლასიკური) შვიდი ოქროს მედალი მოიპოვეს. თავისუფალი სტილის ათლეტთა შორის უძლიერესნი იყვნენ: მინსკელი კამალუდინ აბდულდაუდოვი (57 კგ), კრასნოიარსკელი აბდულა ბაგომედოვი (68 კგ) და გროზნოელი ადლან ვარაევი (74 კგ). კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ტურნირში გამარჯვება მოიპოვეს ვოროშილოვგრადელმა ოლეგ კუჩერენკომ (48 კგ), კიეველმა ანდრეი კალაშნიკოვმა (52 კგ), ლენინაკანელმა მნაცაკან ისკანდარიანმა (68 კგ) და ალმაათელმა ცაულტ ტურლიბანოვმა (74 კგ).

ᲞᲐᲠᲐᲒᲕᲐᲘᲐᲜᲘ. მსოფლიო ჩემპიონატი სასანგრო სტენდზე სროლაში პორტუგალიის გუნდმა მოიგო — 424 ქულა. საბჭოთა კავშირის ნაკრები გამარჯვებულ კოლექტივს მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა და ვერცხლის მედალს დაეუფლა.

ᲮᲔᲣᲚᲘ. დაიწყო ფრენბურთელთა საერთაშორისო ფედერაციის თასის გათამაშება. სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებმა უკვე ორი გამარჯვება მოიპოვა იაპონიასთან — 3:0, და აშშ-სთან — 3:2. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: აშშ — საფრანგეთი 3:0, ჰოლანდია — სამხრეთ კორეა 3:1, ბულგარეთი — კანადა 1:3, ჰოლანდია — კანადა 3:1, ბულგარეთი — სამხრეთ კორეა — 3:1, საფრანგეთი — იაპონია 3:1.

ᲑᲠᲜᲝ. გაიმართა საერთაშორისო ტურნირი სინქრონულ ცურვაში, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს მიეძღვნა. ბოლო გამოსვლებში უძლიერესი იყო 21 წლის მოსკოველი მარია ჩერნიავეა. საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით დამთავრდა წყვილთა ასპარეზობაც.

ᲚᲘᲡᲐᲑᲝᲜᲘ. ტრადიციულ საერთაშორისო მარათონში, რომლის ტრასა ამ ქალაქის ქუჩებში გადიოდა, პორტუგალიელმა სტაიერებმა დაამტკიცეს თავიანთი მაღალი რეპუტაცია. ვაჟთა შორის გაიმარჯვა შეჯიბრების მასპინძელმა ჟალდინო ვეიკასმა — 2:13.59, ქალთა შორისაც პორტუგალიელი სპორტსმენი უმბელინო ნენეში პირველობდა — 3:00.56.

ᲭᲔᲚᲔᲑᲘᲗᲘ-ᲥᲘᲜᲘᲡᲘᲗᲘ

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

საბჭოთა ჩოგბურთელები წარმატებით გამოდიან საერთაშორისო ტურნირებში.

ინგლისის ქალაქ ტელფორდში, მაგალითად, თავი გამოიჩინა 15 წლის კიეველმა გოგონამ ნატალია მედვედევამ. მან ჯერ ერთეულთა ტურნირი მოიგო (ფინალში ინგლისელი სარა ლუზმორი დაამარცხა — 6:2, 6:2), მერე კი მოსკოველი ევგენია მანიუკოვასთან ერთად ყველას აჯობა წყვილთა თანრიგში.

მსგავსი ტურნირი არკანზასში (აშშ) ტარდება, სადაც დამაჯერებლად გამოდიან ნატალია ზვერევა და ლარისა სავჩენკო. პირველმა ამერიკელი ბარბარა გერკენი დაამარცხა — 6:0, 6:3, მეორემ — ჰოლანდიელი მანონ ბოლეგრაფი 6:1, 6:1. ზვერევა და სავჩენკო ნახევარფინალში გავიდნენ.

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ“

ᲒᲣᲨᲘᲜᲬᲘᲜ მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს“ მორიგი, 45-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 1 (კალათბურთი), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 8 (ტრაკზე ველოსრბოლა), 15 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 39 (ბადმინტონი), 41 (ბაგიდის ჩოგბურთი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 4 (კრივი), 18 (მძლეოსნობა), 24 (ხელბურთი), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 27 (მშვილდოსნობა).

ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ ᲓᲐ ᲔᲗᲔᲠᲨᲘ

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ. 10 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); რიტმული ტანვარჯიში — 19.15 (2), მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში — 19.30 (1).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ. 10 ნოემბერი. მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში — 19.30.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲓᲘᲝ. 10 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ. სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „სპარტაკი“ (მოსკოვი) —„გურია“ (ლანჩხუთი). მეორე ტაიმის რეპორტაჟი — 20.30.

რედაქტორი
Თ. ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ.

ᲡᲐᲠᲗᲝᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ: ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ, ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ

ᲑᲤᲠ

თოთხმეტი ტურის შემდეგ ეროვნული პირველობის გათამაშების ცხრილში ორი გუნდი ლიდერობდა: ბრემენის „ვერდერი“ და „კიოლნი“. 7 ნოემბერს XV ტურში სწორედ ეს კლუბები შეხვდნენ ერთმანეთს. დასავლეთგერმანელ მიმიმოხილველთა ძირითადი ყურადღება, ცხადია, ლიდერთა მატჩისადმი იყო მიპყრობილი. თუმცა, არა მხოლოდ დასავლეთგერმანელებისა: „ვერდერის“ თამაშით ახლა საქართველოშიც დაინტერესებული ვართ — იგი ხომ მალე თბილისის „დინამოს“ შეხვდება უეფა-ს თასის გათამაშების მერვედფინალში. „კიოლნთან“ მატჩი ბრემენელებმა ძლიერად ჩაატარეს. ადგილობრივ „ვეზერშტადიონზე“ შეკრებილი 30 ათასი მაყურებელი კმაყოფილი დარჩა თავისი გუნდის თამაშით. დაძაბული ბრძოლა მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა — 2:1. კომენტატორები განსაკუთრებით აღნიშნავენ „ვერდერის“ ვეტერანის, 37 წლის მანფრედ ბურგსმიულერის საუცხოო თამაშს. ბრემენელთა შემადგენლობაში ტრავმით გამოწვეული ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვლავ გამოვიდა მინდორზე თომას ვალტერი.

მიუნპენის „ბაიერნმა“ შინ დიდი ანგარიშით (3:0) დაამარცხა იორდინგენის „ბაიერი“. ამ მატჩის გმირად ყველამ ერთხმად აღიარა უელსელი თავდამსხმელი მარკ ჰიუზი, რომელმაც პირველად ჩაიცვა „ბაიერნის“ მაისურა (ჰიუზი მიუნპენელებმა ესპანეთის „ბარსელონისგან“ წლის ბოლომდე „ითხოვეს“ — ნახევარ მილიონ მარკად). დებიუტანტმა დიდი წვლილი შეიტანა თავისი ახალი გუნდის გამარჯვებაში. 30-ე წუთზე მან ანგარიში გახსნა, ხოლო 81-ე-ზე მათეუსმა მისი გადაცემით მეორედ აიღო მეტოქის კარი. მესამე ბურთი ვეკმანის ანგარიშზეა (86-ე წუთი).

დანარჩენი შედეგები: „ვალდჰოფი“ (მანჰაიმი) — „ბოხუმი“ 1:1, „ჰომბურგი“ — „კაიზერსლაუტერნი“ 3:2, „ბორუსია“ (დორტმუნდი) — „შტუტგარტი“ 2:2, „ბაიერი“ (ლევერკუზენი) — „ჰამბურგი“ 2:0, „ინტრახტი“ (მაინის ფრანკფურტი) — „შალკე 04“ (გელზენკირჩენი) 2:0, „ბორუსია“ (მიონჰენგლადბახი) — „ჰანოვერ 96“ 1:2, „ნიურნბერგი“ — „კარლსრუე“ 4:0.

	თ.	ბ.	ქ.
„ვერდერი“	15	29-9	25
„ბაიერნი“	15	38-17	24
„კიოლნი“	15	24-9	23

ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲘ

რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ეღერდეს, შაბათს გამართულ მატჩებს შორის ყველაზე დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია არა პირველი ლიგის რომელიმე ორთაბრძოლამ, არამედ მეორე დივიზიონის შეხვედრამ „მანჩესტერ სიტისა“ და „ჰადერსფილდს“ შორის. საქმე ის გახლავთ, რომ მანჩესტერელებმა მართლაც გამანადგურებელი ანგარიშით (10:1) დაამარცხეს მეტოქე და გააუმჯობესეს კლუბის რეკორდი, რომელიც... ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, 1895 წლის 25 მარტს იყო დამყარებული. მაშინ „მანჩესტერ სიტიმ“ ანგარიშით 11:3 სძლია „ლინკონ სიტის“. აღსანიშნავია ისიც, რომ „ჰადერსფილდთან“ მატჩში ერთბაშად სამმა ფეხბურთელმა შეასრულა „ჰეთ-თრიკი“! სამ-სამი გოლი გაიტანეს პოლ სტიუარტმა, ტონი ედკოკმა და დეივიდ უაითმა.

I ლიგაში თამაშები ასე დამთავრდა: „უიმბლდონი“ — „ლივერპული“ 1:1, „ლუტონ თაუნი“ — „ნიუკასლ იუნაიტედი“ 4:0, „ოქსფორდ იუნაიტედი“ — „კოვენტრი სიტი“ 1:0, „ქუინზ პარკ რეინჯერსი“ (ლონდონი) — „უოტფორდი“ 0:0, „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ (ლონდონი) — „შეფილდ უენსდეი“ 0:1, „ჩარლტონ ათლეტიკი“ — „ნორიჩ სიტი“ 2:0.

„ლივერპული“	12	32-7	32
„არსენალი“ (ლონ.)	14	25-7	32
„ქუინზ პარკი“	14	19-11	30

ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲐ

ეროვნული ჩემპიონატის XVII ტურში, რომელიც შაბათს გაიმართა, ერთპიროვნულმა ლიდერმა, ედინბურგის „ჰართ ოვ მიდლოთიენმა“ მეორე ადგილზე მყოფ გლაზგოს „სელტიკს“ უმასპინძლა. თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1. მეოთხედან მესამე ადგილზე გადაინაცვლა „გლაზგო რეინჯერსმა“, რომელმაც ბლეკის ერთადერთი გოლის წყალობით შინ აჯობა ედინბურგის „ჰიბერნიენს“ — 1:0 (გლაზგოელმა მაკკოისტმა 11-მეტრიანი დარტყმა ვერ გამოიყენა). სხვა მატჩები: „დანდი“ — „ფოლკერკი“ 3:1, „დანფერმლინი“ — „სენტმირენი“ 2:0, „მორტონი“ — „აბერდინი“ 0:0, „მაზერუელი“ — „დანდი იუნაიტედი“ 2:1.

„ჰართ ოვ მიდლ.“	17	36-14	27
„სელტიკი“	17	28-15	24
„გლაზგო რეინჯ.“	16	30-10	21
„აბერდინი“	16	23-11	21

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ

გათამაშების IX ტურში პირველი ქულა დაკარგა ერთპიროვნულმა ლიდერმა, მადრიდის „რეალმა“. მან ბილბაოში ფრედ (0:0) ითამაშა ადგილობრივ „ატლეტიკთან“. პირველი ლიგის ახალბედამ, ვიგოს „სელტამ“ შინ სძლია სევილიის „ბეტისს“ (2:0) და ახლა მესამე ადგილზეა.

„რეალი“	9	32-2	17
„ატლეტიკო“ (მად.)	9	12-3	14
„სელტა“	9	12-6	12

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

სატურნირო ცხრილში დამაჯერებლად ლიდერობს „მონაკო“, რომელმაც მორიგ ტურში სტუმრად ფრედ (0:0) ითამაშა ნიცის „ოლიმპიკთან“. „ნანტმა“ საკუთარ მინდორზე სძლია „კანს“ (2:1), ხოლო ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი „ბორდო“ პარიზში დამარცხდა ადგილობრივ „რეცინგთან“ — 0:1.

„მონაკო“	17	27-12	25
„ნანტი“	17	24-16	21
„ბორდო“	17	21-15	21

ᲞᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲐ

X ტურში ლიდერებმა მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს: „პორტუმ“ ანგარიშით 1:0 მოუგო ლისაბონის „სპორტინგს“, პორტუს „ბოავიშტამ“ ამავე ანგარიშით სძლია „შავიშს“, ხოლო ლისაბონის „ბენფიკამ“ „ავეშს“ აჯობა — 2:0.

„პორტუ“	10	24-6	17
„ბენფიკა“	10	12-5	13
„ბოავიშტა“	10	15-10	13
„ვიტორია“ (ხეტუბ.)	10	19-15	13

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

„ᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ
64025

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. ბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07218